ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5539378

ნომერი: AR1837436

თარიღი : 15.07.2021

გაცემის თარიღი : 09.08.2021

გაცნობის თარიღი : 12.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 127;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია გედევანიშვილი პ/ნ 01005015461
- თბილისი მ.ლებანიძის ქ. N 11 ბ. 14

ორგანიზაცია:
- შპს ''ბარდი'' კოდი: 205288160

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მე- 18 მუხლი, მე-10-პუნქტი, გ) ქვეპუნქტი -ს თანახმად: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.
სამსახური ვალდებულია სრულად დაიცვას და გაითვალისწინოს საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები, მათ შორის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ასევე შენობა, რომელზეც დაგეგმილი გაქვთ კონდიცირის მოწყობა არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობა, ქუჩის მხარე ფასადზე ჩიკვაიძის ქუჩის მხარე ფასსადზე ,ადგან ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით ქუჩასა და შემნობას შორის ხე- ნარგავებია რაც ქუჩიდან კონდიციონერები ნაკლებად აღქმადი იქნება , სამსახური ს დაუშვებს გამონაკლი კონკრეტული შემთხვევისათვის ,იმ პირობით , რომ განათავსება განხორციელდება საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე , მათი მოწყობა განხორციელდება სისტემური სახით, ვერტიკალურ სვეტში
მსგავსი პრეცენდენტის არსებობის შემთხვევაში და ყველა მათგანი შეიფუთება დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) ;

აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურმა, რომ შეძლოს თქვენს საკითხზე ხელახლა მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : აიტვირთოს შორი ხედიდან გადაღებული ფოტოსურათები და კონტურის სახით მოინიშნოს როგორც საპროექტო ფასადის არეალი ასევე ის ფასადი რომლის ანალოგიითაც გეგმავთ ცვლილებას. რადგან კონდიციონერების მოწყობა იგეგმება სხვადასხვა ფასადზე საჭიროა დაინომროს საპროექტო ადგილები და წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილების ორთოგონალური პროექციის დატანით , რომლებიც ასევე საჭიროა დაინომროს ფოტოსურათებზე

ასახული ადგილები იმავე თანმიმდევრობით.

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საჭიროა ფასადებზე, როგორც საპროექტოზე ასევე არსებულზეც (რომლის ანალოგიითაც გეგმავთ ცვლილებას) აისახოს შესაბამისი თანმიმდევრობით საპროექტო ადგილები

მონიშნეთ რუკაზე ან წარმოადგინეთ ფართის ამონაწერი. საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან ობიექტი მშენებარეა წარმოდგენილ იქნეს ამხანაგობა „საბურთალოს ფიჭვნარის“ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე (დამკვეთის) სადამფუძნებლო დოკუმენტაცია სრულად და მისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე და სამსახურის გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.